

ჭავჭავაძის ადვოკატირებისა და პროფესიული ეთიკის შეჯიბრი

სარჩევი

შესავალი

1. შეჯიბრის ორგანიზაცია

2. საქმე

3. ენა

4. მონაწილეები

5. გუნდები

6. სამართლიანი მონაწილეობის წესები

7. დროითი შეზღუდვები

8. რეგისტრაცია

9. ანონიმურობა

10. შეჯიბრის მოსამართლეები

I. წერილობითი ნამუშევრის წარმოდგენის ეტაპი

11. განმარტება

12. წერილობით წარმოდგენილი პოზიციები

13. წარმოდგენის წესი

14. ორმაგი ფარული შეფასება

15. ქულების მინიჭება და ჯარიმები

II. ზეპირი წარმოების ეტაპი

16. ფინალისტების შერჩევა

17. განმარტებები

18. ზეპირი მოსმენის ორგანიზება

19. მოსმენები

20. დროითი ფარგლები

21. მასალა

22. ქულების განაწილება

23. ქულების დაანგარიშება და შედეგები

24. ფინალის მიმდინარეობა

25. ჯილდოები

შესავალი

პროფესიული ეთიკის სრულფასოვანი სწავლება ჯერჯერობით არ არის სამართლის ფაკულტეტებისა და სკოლების პროგრამის სავალდებულო ნაწილი. იურისტების უმრავლესობა პროფესიულ კარიერას იწყებს ეთიკური ნორმების შესახებ ზედაპირული წარმოდგენით. ეთიკური სტანდარტების ცოდნა მომავალი პროფესიონალებისთვის აუცილებელია არა მხოლოდ ვიწრო პროფესიული მიზნებისთვის, არამედ საზოგადოების თვალში სამართლიანობის კულტურის პატივისცემის დამკვიდრებისთვისაც.

პროფესიული ეთიკა, სტანდარტები, პროფესიონალიზმი და კლიენტის დაცვა ყველა მოქმედი იურისტის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია. ჭავჭავაძის პროფესიული ეთიკისა და ადვოკატირების შეჯიბრი მიზნად ისახავს იურისტებისთვის პროფესული ეთიკის სწავლების პოპულარიზებას საქართველოში. შეჯიბრი შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს, გამოიკვლიონ ეთიკის სტანდარტები, შეაფასონ კონფლიქტური სიტუაციები, მოძებნონ პრობლემების სამართლიანი გადაწყვეტის გზები, განივითარონ გუნდური მუშაობის უნარები. შეჯიბრის მიზანია, ხელი შუწყოს პროფესიონალებს შორის ეთიკურ სტანდარტებზე შეთანხმებების მიღწევასა და პროფესიის საზოგადოებრივი როლის მეტად გაცნობიერებას - პირველ რიგში მომავალ იურისტებში და უკვე მოქმედ პროფესიონალებს შორის.

შეჯიბრის ორგანიზატორია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თუმცა შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში მოქმედი ნებისმიერი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტს. შეჯიბრის სამართლიანად წარმართვას უზრუნველყოფენ მოწვეული პროფესორები და იურისტები, რომლებიც შეაფასებენ ნამუშევრებს და მონაწილეების კომპეტენციას, წინასწარ გაწერილი და გამოქვეყნებული წესების მიხედვით.

ზოგადი პრინციპები

1. შეჯიბრის ორგანიზება

შეჯიბრი შედგება ორი ეტაპისგან:

1.1 წერილობითი ნამუშევრების წარმოდგენის და ზეპირი მოხსენებების ეტაპზე მონაწილე გუნდები ამზადებენ წერილობით პოზიციას შეჯიბრის ორგანიზატორების მიერ გამოქვეყნებულ საქმეზე. ამ ეტაპზე, ზეპირ განხილვებში მონაწილეობის მისაღებად, შეირჩევა ოთხი გუნდი.

1.2 ფინალური განხილვების ეტაპზე მონაწილეობს ოთხი გუნდი და საკუთარ პოზიციას წარმოადგენენ ეთიკის კომისიის იმიტირებულ პროცესზე. ზეპირი მოსმენა ორ რაუნდად ტარდება. პირველი გამოსვლების შემდეგ ფინალისთვის შეირჩევა ორი გუნდი და დასახელდება მე-3 ადგილზე გასული გუნდი. ფინალში გამოვლინდება გამარჯვებული.

2. საქმე

საქმე მზადდება პროფესიონალი იურისტების მიერ, ქვეყნდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე, კონსტიტუციური კვლევების ცენტრისა და შეჯიბრის ფეისბუქ გვერდზე.

3. ენა

შეჯიბრის ორივე ეტაპი ტარდება ქართულ ენაზე. მონაწილე გუნდებს შეუძლიათ უცხოენოვანი მრჩევლის აყვანა.

4. მონაწილეები

შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში მოქმედი ნებისმიერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტს. მონაწილე არ უნდა იყოს მოქმედი ადვოკატი.

5. გუნდები

5.1 ერთი და იგივე უნივერსიტეტის სტუდენტები ქმნიან სამკაციან გუნდებს. გუნდს შეიძლება ჰყავდეს მრჩეველი, რომელსაც მიუთითებს სარეგისტრაციო ფორმაში. გუნდი უნდა დარეგისტრირდეს შეჯიბრის ორგანიზატორების მიერ დადგენილი წესით, დადგენილი ფორმების გამოყენებით, რომელიც გამოქვეყნდება ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის, კონსტიტუციური კვლევების ცენტრისა და შეჯიბრის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.

5.2 რეგისტრაციის შემდეგ გუნდის წევრების ცვლილება დაუშვებელია და გამოიწვევს გუნდის ამორიცხვას მონაწილეთა სიიდან.

5.3 მრჩეველთა სიას შეჯიბრის ორგანიზატორები შესთავაზებენ დარეგისტრირებულ გუნდებს, თუმცა მათ თავადაც შეუძლიათ კანდიდატის შერჩევა.

5.4 შეჯიბრის მიმდინარეობისას გუნდის წევრის ჩამოცილება გუნდიდან დასაშვებია. თუ გუნდში წევრთა რაოდენობა 2-ზე ნაკლებია, გუნდი ეთიშება შეჯიბრს.

6. სამართლიანი მონაწილეობის წესები

6.1 სტუდენტები, მრჩევლები და დამსწრე სტუმრები უნდა იცავდნენ სამართლიანი მონაწილეობის პრინციპებს და პატივს სცემდნენ შეჯიბრის ორგანიზატორებს და ყველა მონაწილეს შეჯიბრის ყველა ეტაპზე.

6.2 შეჯიბრი განკუთვნილია სტუდენტებისთვის. სამართლიანი მონაწილეობა გულისხმობს, რომ ნებისმიერი ტაქტიკა და გარე პირების ჩართვა შეჯიბრის მიმდინარეობაში, რაც რომელიმე მხარეს უსამართლო პირობებში ჩააყენებს და ხელს შეუშლის შეჯიბრის სამართლიან ჩატარებას, მიუღებელია შეჯიბრის ნებისმიერ სტადიაზე:

ა) წერილობითი მოხსენებების მომზადებისას მრჩევლებმა და სხვა დამხმარე პირებმა თავი უნდა შეიკავონ აქტიური მონაწილეობისგან, არგუმენტების ჩამოყალიბებისგან და სტრატეგიის შეთავაზებისგან;

ბ) მრჩეველი გუნდს უნდა უზიარებდეს გამოცდილებას ეთიკის კომისიის მოსმენებში მონაწილეობის შესახებ, ზოგადად უზიარებდეს ეთიკის სტანდარტების მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას, სთავაზობდეს ინტერპრეტაციის ვერსიებს. წერილობითი ნამუშევრების შექმნა სტუდენტის პასუხისმგებლობაა და მრჩეველმა ამ პროცესში არ უნდა მიიღოს მონაწილეობა.

6.3 შეჯიბრის ყველა მონაწილემ პატივი უნდა სცეს სამართლიანი თამაშის წესებს. ამ პრინციპის ნებისმიერი მნიშვნელოვანი დარღვევა შეიძლება მონაწილის დისკვალიფიკაციის საფუძველი გახდეს, რის შესახებაც გადაწყვეტილებას ორგანიზატორები იღებენ მსაჯებთან კონსულტაციის შემდეგ.

7. დროითი შეზღუდვები

რეგისტრაციისა და ნამუშევრის წარმოდგენის ვადები ქვეყნდება კონსტიტუციური კვლევების ცენტრისა და შეჯიბრის ფეისბუქ გვერდზე;

ა) მონაწილეთა რეგისტრაცია იწყება 18 თებერვალს და სრულდება 11 მარტს;

ბ) რეგისტრირებული გუნდები მასალას მიიღებენ 12 მარტს და წერილობითი პოზიცია უნდა წარმოადგინონ 30 მარტისთვის;

გ) მონაწილე გუნდებთან ზეპირი გასაუბრებები, პირადად ან სკაიპის მეშვეობით, გაიმართება 15 აპრილამდე;

დ) წერილობითი პოზიციისა და ზეპირი პრეზენტაციების შეჯამებული ქულები ცნობილი გახდება 16 აპრილს, დასახელდება ფინალურ ტურში გადასული გუნდები;

ე) შედეგების გასაჩივრება შეიძლება 20 აპრილამდე;

ვ) ფინალური ტური ტარდება 27 აპრილს;

თარიღის ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში სამართლიანი შეჯიბრის პრინციპის გათვალისწინებით.

8. რეგისტრაცია

გუნდების რეგისტრაცია სრულდება 11 მარტს, რის შესახებაც ინფორმაცია ქვეყნდება კონსტიტუციური კვლევების ცენტრისა და შეჯიბრის ფეისბუქ გვერდზე.

9. ანონიმურობა

9.1 მონაწილეთა შესახებ ინფორმაცია დაცულია. რეგისტრაციისას გუნდი მიიღებს ნომერს, რომელიც მას ეცნობება რეგისტრაციისთანავე.

9.2 უნივერსიტეტის სახელის ხსენება დაუშვებელია წერილობით წარდგენილ დოკუმენტში. ნაწერის შემფასებელს მხოლოდ გუნდის ნომერი ეცნობება.

10. შეჯიბრის მსაჯები

10.1 შეჯიბრის მსაჯები აფასებენ მონაწილე გუნდებს და შეირჩევიან მოქმედი იურისტებისგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორებისგან და მოსამართლეებისგან.

10.2 დაუშვებელია ზეპირ განხილვებზე მოსამართლე და მონაწილე გუნდის წევრები იყვნენ ერთი და იგივე უნივერსიტეტის წარმომადგენელები.

10.3 შეჯიბრის მოსამართლეები დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას. შეფასების ქულები იწერება სპეციალურად ამ მიზნით დაბეჭდილ ფურცლებზე.

10.4 იმიტირებული პროცესის თავმჯდომარეს, პროცესის დაწყებამდე, ირჩევენ მოსამართლეები. თავმჯდომარეს უფლება აქვს, ჩამოაშოროს გუნდი ან მისი წევრი თამაშს, გაუძღვეს პროცესს.

წერილობითი ნამუშევრების წარმოდგენის ეტაპი

11. განმარტება

წესების განმარტებას ახდენენ შეჯიბრის ორგანიზატორები. მოცემულ წესებთან დაკავშირებით ნებისმიერი კითხვა გაუგზავნეთ ორგანიზატორებს კონსტიტუციური კვლევების ცენტრის გვერდზე მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

12. წერილობითი ნაშრომები

ყველა გუნდმა უნდა წარადგინოს წერილობითი ნამუშევარი 2 საქმეზე, სადაც დაასაბუტებს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციას. ორგანიზატორი გამოაქვეყნებს წერილობითი ნამუშევრის ფორმას.

13. წარდგენა

13.1 გუნდებმა წერილობითი პოზიციები უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, მითითებულ ვადებში.

13.2 თითოეული დოკუმენტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 10 გვერდს.

13.3 დადგენილი ვადის გადახედვა დაუშვებელია ნებისმიერი გუნდისთვის, ასევე დაუშვებელია დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი ნაშრომის შეცვლა, ჩასწორება, დამატება.

13.4 წერილობითი ნაშრომის წარმოდგენის შემდეგ გუნდებს ეცნობებათ ზეპირი პრეზენტაციის ტარიღი და დრო.

13.5 ზეპირი პრეზენტაცია გრძელდება 20 წუთი. გუნდი წარმოადგენს ერთ-ერთ წერილობით ნაშრომს და გუნდის წევრები უპასუხებენ ორგანიზატორების მეირ დასმულ კითხვებს.

14. ორმაგი ფარული შეფასება

14. 1 წერილობითი ნაშრომები სწორდება ანონიმურად.

14.2 დაუშვებელია ნაწერი გაასწოროს მოსამართლემ, თუ ავტორები იმავე უნივერსიტეტის სტუდენტები არიან, სადაც ის თავის პროფესიულ საქმიანობას ეწევა.

14.3 ყველა ნაწერი სწორდება ორი მოსამართლის მიერ. გამსწორებლებმა არ იციან გუნდის წევრების ვინაობა და წინა გამსწორებლის მიერ დაწერილი ქულა.

თითოეული გუნდისთვის დაწერილი ქულა შედის შეჯიბრის რეიტინგების ჟურნალში და გუნდებს ქულების შესახებ ეცნობებათ მხოლოდ ზეპირი მოსმენების დასრულების შემდეგ. თუ გუნდი ვერ გადის ზეპირ მოსმენაზე, მას დადგენილ ვადაში ეცნობება შეფასება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

15. პირველი ეტაპის შეფასებები და ჯარიმები

15.1 თითოეული გუნდი ფასდება მაქსიმუმ 30 ქულით, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

ა) წერილობითი ნაშრომის - იურიდიული ანალიზი და დასაბუთება, არგუმენტი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, სრულადაა გადმოცემული და განასხვავებს განსხვავებული სირთულის პრობლემებს, განმარტავს დადგენილ პრინციპებს და პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, გამართულია სტრუქტურა, არის ციტირებები, - მაქსიმუმ 15 ქულა;

ბ) ზეპირი პრეზენტაციის - დამაჯერებლობა, ლოგიკა, სიღრმე - - მაქსიმუმ 10 ქულა;

გ) ენობრივად გამართულია - მაქსიმუმ 5 ქულა;

15.2 გამსწორებლები, საჯარიმო ქულების დაკისრებისას, გამოიყენებენ შემდეგ წესებს:

ა) თუ ნაშრომი აჭარბებს დადგენილ 10 გვერდიან ლიმიტს:

- ერთი გვერდით მეტია = დააკლდება 2 ქულა
- ორი გვერდით მეტია = დააკლდება 4 ქულა
- სამი გვერდით მეტია = დისკვალიფიკაცია

ბ) შემაჯამებელი ნაწილი აღემატება დადგენილ სტანდარტს:

- ნახევარი გვერდით აღემატება = 2 ქულა
- ერთი გვერდით აღემატება = 4 ქულა
- ერთნახევარი გვერდით აღემატება = დისკვალიფიკაცია

გ) ტექსტში გუნდის წევრების სახელის ხსენება, ყველა შემთხვევაში, დაჯარიმდება 2 ქულით.

დ) სხვა წესების დაუმორჩილებლობა, როგორიცაა: ფონტის ზომა, დაშორება ხაზებს შორის და სხვა სტილისტური წესები, დაჯარიმდება 2 ქულით.

ფინალური ეტაპი

16. ფინალში გასვლა

16.1 შეჯიბრის ორგანიზატორები გამოაქვეყნებენ გამარჯვებულ ოთხ გუნდს. გუნდები შეირჩევიან დაგროვებული ქულების მიხედვით.

16.2 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი უმასპინძლებს ფინალურ შეჯიბრს. ფინალური ტური გაგრძელდება ერთი დღე. მონაწილე გუნდები თავად იხდიან მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

16.3 ზეპირ განხილვაში მონაწილე გუნდებს შეუძლიათ მრჩევლის მოწვევა ფინალურ ეტაპზე. მრჩეველი არ უნდა იყოს ჟიურის წევრი, მოსამართლე ან ორგანიზატორი. წესის დარღვევა გუნდის დისკვალიფიკაციის საფუძველია.

17. განმარტებები

ფინალურ ეტაპზე ნებისმიერი კითხვა უნდა გაეგზავნოს ორგანიზატორებს, კონსტიტუციური კვლევების ცენტრისა და შეჯიბრის ფეისბუქ გვერდზე და ელ-ფოსტაზე. ორგანიზატორების მიერ გაკეთებული განმარტებები არ საჩივრდება.

18. ზეპირი განხილვების ორგანიზება

18.1 ფინალური ეტაპი ორი ტურისგან შედგება: ნახევარ-ფინალური ტური და ფინალი (შაბათი, 27 აპრილი).

18.2 ნახევარ-ფინალში 4 გუნდი იღებს მონაწილეობას, საიდანაც, ფინალური ტურისთვის, შეირჩევა 2 გუნდი.

18.3 გუნდი მონაწილეობს ან როგორც მოსარჩელე და როგორც მოპასუხე მხარე, თამაშის წინ კენჭისყრისას მინიჭებული როლის შესაბამისად.

18.4 უმაღლესი ქულების მქონე ორი გუნდი მონაწილეობას მიიღებს ფინალურ შეჯიბრში.

18.5 ფინალურ ტურზე თითოეულ შეჯიბრს ესწრება არანაკლებ სამი მოსამართლე.

18.6 ფინალური ტურის ჩატარების ზუსტი დროები წინასწარ ეცნობებათ გუნდებს.

19. ზეპირი განხილვა

19.1 ზეპირი განხილვა ტარდება შემდეგი წესის მიხედვით: განმხილველი კომისიის თავმჯდომარე შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, წარმოადგინონ ძირითადი არგუმენტები. ჯერ წარმოადგენს განმცხადებელი და შემდეგ მოპასუხე(10-10 წუთი).

19.2 კომისიის წევრებს შეუძლიათ, შეაწყვეტინონ მხარეს გამოსვლა და დაუსვან კითხვები.

19.3 მხარე არ არის შეზღუდული წერილობით წარმოდგენილი ტექსტით და შეუძლია ზეპირი განხილვის დროს განავრცოს საკუთარი არგუმენტი.

19.4 პოზიციების წარმოდგენის შემდეგ მხარეები ერთმანეთს უსვამენ კითხვებს. ეტაპი გრძელდება 30 წუთი. პროცესში მონაწილეობენ მოსამართლეებიც. კითხვა უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ არგუმენტებს, რაც მხარემ წარმოადგინა.

19.5 შემაჯამებელი მოხსენებებისთვის მხარეებს ეძლევათ 10-10 წუთი.

19.6 დროის გასვლას ყურადღებას აქცევს ერთ-ერთი კომისიის წევრი და უთითებს მხარეებს მწვანე, ყვითელი და წითელი ფურცლით, რაც აღნიშნავს: 5,1 და 0 წუთს.

19.7 კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია მხარეს მეტი დრო გამოუყოს, მარამ არა უმეტეს 5 წუთისა. თუ მხარე სრულად არ იყენებს მისთვის გამოყოფილ დროს, დაუხარჯავი დრო არ დაემატება შემდგომი გამოსვლისას.

19.8 თუ კომისიის წევრი მხარეს გამოსვლას აწყვეტინებს, დროის ათვლა წყდება.

20. მასალები

20.1 გამომსვლელს შეუძლია ჩანაწერების გამოყენება, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ ზეპირად წარმოადგენს მოხსენებას.

20.2 საჩვენებელი მასალის მოშველიება ან ელექტრონული მოწყობილობების დახმარებით პრეზენტაციის წარმოდგენა არ არის დაშვებული.

21. ქულების განაწილება ფინალურ ეტაპზე

გამოსვლა ფასდება მაქსიმუმ 30 ქულით:

ა) ნორმატიული მასალის სწორად მოხმარება, საერთაშორისო გამოცდილების წარმოდგენა - 10 ქულა მაქსიმუმ და საშუალოდ 5 ქულა.

ბ) პრეზენტაცია, დამაჯერებლობა - მაქსიმუმ 10 ქულა, საშუალოდ 5 ქულა.

გ) მხარეთა უნარი, გააბათილონ მოწინააღმდეგის არგუმენტები - მაქსიმუმ 10 ქულა, საშუალო 5 ქულა.

22. შედეგების დაჯამება

22.1 კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრებთან ერთად, აჯამებს შედეგებს და წერს შეჯიბრის ჟურნალში.

22.2 შეჯიბრის შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შედეგები არ საჩივრდება.

22.3 თუ გუნდები თანაბარ ქულებს აგროვებენ, უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელიც:

ა) უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენდა გამოსვლებისას;

ბ) მეტი ქულა აქვს აღებული წერითი ნამუშევრის შეფასების დროს;

გ) ან გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრით.

23. ჯილდო

23.1 გამარჯვებულ გუნდს (1-ლი, მე-2-ე და მე-3-ე ადგილები) გადაეცემა შეჯიბრის თასი.

23.2 გამორჩეულ განმცხადებელსა და მოპასუხეს გადაეცემათ სპეციალური ჯილდოები.

23.3 საუკეთესო წერითი ნაშრომის წარმომდგენ გუნდს გადაეცემა სპეციალური ჯილდო და ნაშრომი გამოქვეყნდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

23.4 გამორჩეულ მონაწილეს გადაეცემა სპეციალური ჯილდო.